საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანზე (მე-12 კმ.) მდებარე უნივერსიტეტის შენობის რეკონსტრუქციის, არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“

ქ.თბილისში, აღმაშენებლის ხეივანზე (მე-12 კმ.) მდებარე უნივერსიტეტის შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმნტაცია შეადგინა პროექტის მთავარმა არქიტექტორმა ბატონმა რატი ხეცურიანმა.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია:
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ე მუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შენდგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს აღნიშნული არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას საქარველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით.

1. შენიშვნები

შენიშვნა№	განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებისთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების

მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

2. ტერმინები და განმარტებები

ტერმინი №	განმარტება

1. **წესები** - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.
2. **შშმ** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

3. პროექტის აღწერილობა

უნივერსიტეტის რეკონსტრუქციის პროექტი წარმოადგენს არსებული საბჭოთა დროინდელი შენობის გადაკეთებას თანამედროვე, მაღალტექნოლოგიურ უნივერისტეტად, სასწავლო-საკველვი დანიშნულებით გამოსაყენებელ შენობად.
წარმოდგენილი პროექტის მიხედვით სარეკონსრუქციო ნაგებობაში კონკრეტულად განთავსდება, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის შენობა, რომელიც განკუთვნილი იქნება სტუდენტებისთვის. პროექტი დამუშავებულია თანამედროვე გეგმარებითი პრონციპების და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.

საპროექტო შენობა მდებარეობს დავით აღმაშენებლის ხეივანში მე-12 კმ. (საკ. კოდი: 01.72.14.013.102) მიწის ნაკვეთის ფართობის შეადგენს 8287 კვ. მ.-ს. საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია არსებული სამ სართულიანი შენობა სარდაფით და სხვენით. არსებული შენობა წარმოადგენს ლენტური საძირკვლის ტიპს მზიდი კედლების სისტემით. (იხ. არსებული ფოტოები). შენობა ფუნქციონირებდა როგორც ადმინისტრაციული დანიშნულების ობიექტი. ტერიტორიაზე განთავსებულია ხე-ნარგავები, რომელბიც სრულად შენარჩუნდება.

შენობის რეკონსტრქუციის დროს შენარჩუნდება არსებული შენობის კონსტრუქციის მდგრადობა, მოქმედი ნორმების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტის ტერიტორიას გააჩნია დამოუკიდებელი საავტომობილო შესასვლელი-გამოსასვლელი, რომელიც უზრუველყოფს სახანძრო უსაფრთხოებას, საჭიროების შემთხვევაში.ასევე, შენობასა და მიწის ნაკვეთს შორის, შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით, უზრუნველყოფილია უსაფრთხო ადგილები თითოეული დამკავებლისათვის.

შენობის ექსტერიერი მოპირკეთდება ტრავერტინის ქვის ფილებით. ვიტრაჟები მოეწყობა მუქი ფერის ალუმინის პროფილით. გაღებადი ვიტრაჟების წინ გათვალისწინებული მინის მოაჯირები, რომლებიც ჩამაგრდება ფერდებს შორის.შენობის ძირი მოპირკეთდება ბუნებრივიგრანიტის ფილებით.

ტერიტორია კეთილმოეწყობა და გამწვანდება. პროექტში გათვალისწინებული ტერიტორიის შემოღობვა მსუბუქი ლითონის დაბალი კონსტრქუციის ღობით.

4. ძირითადი ნაწილი

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

წარმოდგენილი რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს დაკავებულობების კლასიფიცირებას მე-3 თავის მიხედვით და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომლებიც შეესაბამება 302-ე ქვეთავს.

ქვემოთ ჩამოთვლილია დაკავებულობები, რომლებიც გამოყენებულია პროექტში

საქმიანი ჯგუფი (უნივერსიტეტის აუდიტორიები და ადმინისტრაცია)
შეესაბამება 304.1 ქვეთავს, სადაც საქმიან ჯგუფს მიეკუთვნება:

- საგანმანათლებლო დანიშნულების ფართობები სტუდენტებისთვის- 12 კლასს ზემოთ;

თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი თვ-2 (კაფეტერია და სამზარეულო-2,70 ნიშნულზე)

შეესაბამება 303.3 ქვეთავს, ამ ჯგუფს მიეკუთვნება, თავშეყრისა და კვებისთვის გათვალისწინებული ადგილები:

- რესტორნები, კაფეები და კვების მსგავსი დაწესებულებები (მათთან დაკავშირებული სამზარეულობის ჩათვლით);

თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი თვ-3 (საკონფერენციო დარბაზი და ბიბლიოთეკა+9,90, ნიშნულზე)

შეესაბამება 303.4 ქვეთავს, ამ ჯგუფს მიეკუთვნება თავშეყრისათვის გათვალისწინებული ადგილები:

- ბიბლიოთეკა;
- სალექციო დარბაზები;

სასაწყობო ჯგუფი სწ-1 (დამხმარე სათავსი -2,70 ნიშნილზე)

შეესაბამება 311.2 ქვეთავს, ამ ჯგუფს მიეკუთვნება სივრცე, რომელიც მოიცავს საწყობად გამოყენებულ შენობას ან ნაგებობას ან მათ ნაწილს.

შენობაში არსებული თითოეული დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი **1004** ქვეთავის **1004,1.2** ცხრილის მიხედვით. დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მისი დატვირთვებიც გამოთვლილია წესების მიხედვით.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

პროექტის კლევის საფუძველზე დადგინდა , რომ არსებული შენობა შეესაბამება IB კონსტრუქციის ტიპს და შენობის ელემენტები(გარე და შიგა მზიდი კედლები,სართულშუა და სახურავი) აკმაყოფილებს 601 ქვეთავს .

სარეკონსტრუქციო შენობისთვის დატოვებულია იგივე კონსტრუქციის ტიპი (IB), რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნილ სიმაღლეს, ფართობსა და სართულიანობას 503 ცხრილის მიხედვით.ხოლო შენობის ახალი ნაწილისთვის (ატრიუმი) შერჩეულია კონსტრუქციის ტიპი IIIA

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

როგორც ზემოთ აღინიშნა შემოთავაზებული სარეკონსტრუქციო შენობის სიმაღლე და ფართობი, განსაზღვრულია 503 ცხრილის, ასევე კონსტრუქციის ტიპის მიხედვით და აკმაყოფილებს დასაშვებ ნორმებს.
არსებულ შენობას აქვს ტექნიკური სართული, რომელსაც პროექტის საფუძვლზე, ჩაუტარდება დემონტაჟი და მის ნაცვლად დამონტაჟდება ახალი,ლითონის მსუბუქი კონსტრუქციის კარკასის სართული. შესაბამისად არ ხდება სრული სართულის მომატება და მხოლოდ ნაწილობრივად იზრდება სართულის ფართობი, მე-4 სართულის ერთ ერთ სივრცეში განთავსებულია ანტრესოლი, რომლიც აკმაყოფილებს 505-ე ქვეთავის მოთხოვნებს და შესაბამისად შენობა განხილულია, როგორც 4 სართულიანი.
შენობის თითოეული სივრცე დაყოფილია დაკავებულობების მიხედვით. თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება 503 ცხრილში სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვრებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.
წესების მე-10 თავის 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილის საფუძველზე განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვების გამოთვლის და თითოეული სართულზე მათი დაჯამების შემდეგ დადგინდა, რომ შენობის ნებისმიერ სართულზე დაკავებულობის დატვირთვა მერყეობს 50-სა და 500-ს შორის,(მაქსიმალური დაკავებულობა სართულზე 281) შესაბამისად წესების 1021 ქვეთავის მიხედვით შენობას ემსაუხურება ორი გასასვლელი.
გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მიწის დონის ქვედა სართულზე განსაზღვრულია ერთი გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბე და ერთი გარე გასასვლელი გზა-კიბე, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 59 მეტრს, რაც აკმაყოფილებს 1016 ქვეთავის მოთხოვნებს.

პირველ(მიწისპირა) სართულზე განსაზღვრულია ორი გასასვლელი გზა-კარი. გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 59 მეტრს, რაც აკმაყოფილებს 1016 ქვეთავის მოთხოვნებს.

მეორე და მეორე სართულის ზემოთ (მეოთხე სართულის ჩათვლით) ყველა სართულისთვის განსაზღვრულია ერთი გარე გასასვლელი გზა-კიბე და ერთი შიგა გასასვლელი გზა-კიბე. გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 36 მეტრს, რაც აკმაყოფილებს 1016 ქვეთავის მოთხოვნებს.გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბე პირველიდან(მიწისპირა) მეოთხე სართულის ჩათვლით მდებარეობს 404 ქვეთავის მიხედვით მოწყობილი ატრიუმის სივრცეში და აქედან გამომდინარე აკმაყოფილებს 1009.3 ქვეთავის მოთხოვნებს გასასვლელთან მისადგომ გზა-კიბეებთან დაკავშირებით, აღნიშნული მოთხოვნების დაცვით არის მოწყობილი მიწისქვეშა სართულზე არსებული გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბე.

გარე გასასვლელის გზა-კიბეები შეესაბამება 1021 ქვეთავის და 1009 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია 1009 ქვეთავის შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას.

ყველა გასასვლელი გრძელდება 1027 ქვეთავის მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება საზოგადოებრივ გზაზე.

5. გზა–კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

როგორც ზემოთ აღინიშნა გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია 1009 ქვეთავის შესაბამისად.
გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1009.4 ქვეთავის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.1. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (7.6 მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (1.1მ) მეტი სიგანის გზა- კიბე (1.25 მ) და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია 1018 ქვეთავის შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას.დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1018.2 ქვეთავის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (5.1 მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (1.2მ) მეტი სიგანის დერეფანი.(2.2მ)

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას.გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1008.1.1

ქვეთავის და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (5.1 მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (0.82 მ) მეტი სიგანის გზა-კარები.(1,8მ)

შენობის სართულებზე არსებული თითოეული დაკავებულობისთვის და იმ სივრცეებისთვის, რომლებშიც ეს დაკავებულობები ფუნქციონირებენ გასასვლელბის რაოდენობა (1021 ქვეთავის მიხედვით) და გამტარუნარიანობა განსაზღვრულია 1008 ქვეთავის, დაკავებულობის დატვირთვის (1004 ქვეთავი) და 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორის (5.1 მმ) მიხედვით, ყველა კარები აკმაყოფილებს განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნას.

6. მისაწვდომობის შეფასება.

მე-11-ე თავის მიხდვით გეგმარების კონცეფციაზე არის მითითებული მისაწვდომობის სვლაგეზი და მე-11 თავის განსაზღვრული მისაწვდომი შესასვლელი რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების პირების (შშმ) მისაწვდომობას შენობის ყველა სართულზე. მე-11 თავის მიხედვით თავშეყრის ფართობებზე გათვალისწინებულია შესაბამისი რაოდენობის დასაჯდომები შშმ პირებისთის,(ცხრილი 11.08.2.1.1) მათ შორის უზრუნველყოფილი მიმღებებით მოსმენის სისტემებისთვის 1108.2.7.1 ცხრილის მიხედვით.შენობა უზრუნველყოფილია მისაწვდომი ტუალეტებით და სხვა მოწყობილობებით(ხელსაბანების,წყლის დასალევი შადრევნები,ტელეფონები, და სხვა).შეზღუდული შესაძლებლობების პირები სრულყოფილად სარგებლობენ ყველა ფუნქციით.

ასევე არის გათვალისწინებული თავშესაფრის ფართობები მე -10 თავის(1007 ქვეთავი) მიხედვით, თავშესაფრის ფართობები მოწყობილია ატრიუმში, რომელიც დაცულია კვამლის საკონტროლო და ავტოსაშხეფი სისტემით, ასევე შემოზღუდულია ცეცხლმედეგი კედლებით, ხოლო მიწისქვეშა სართულზე თავშესაფრის ფართობი მოწყობილია კიბის გვერდით ცეცხლმედეგი კედლებით შემოზღუდულ დამხმარე სივრცეში. თავშესაფრის ფართობების რაოდენობა თითო სართულზე არის აუცილებელ მინიმუმზე (1 ცალი ყოველ 200 დამკავებეზლე) მეტი, 2-2 ადგილი ყველა სართულზე. თავშესაფრის ფართობები მდებარეობს გასასვლელთან მისადგომ გზა-კიბესთან ახლოს, ხოლო გზა კიბის სიგანე არის 1.25მ. ატრიუმში ასვე მდებარეობს წესების მე-17 თავის მიხედვით მოწყობილი ლიფტი.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება.

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და შეესაბამება 705.8 ცხრილს. მოცემილი დოკუმენტაციის მიხედვით პროექტში მაქსიმალური მანძილი 9 მეტრზე მეტია. რაც 602 ცხრილის მიხედვით არ საჭიროებს გარე კედლების ცეცხლმედეგობის უზრუნველყოფას, თუმცა 601 ცხრილის მიხედვით არსებული შენობა უზრუნველყოფს გარე და შიგა მზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხს (2 საათი)

ღიობის ფართობი ზემოთ აღნიშნული ცხრილის მიხედვით (705.8) ხანზარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით შეუზღუდავია.

8. სახურავის ანაწყობების შეფასებას;

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით. სახურავის ანალიზის შემდეგ დადგინდა რომ სახურავის მზიდი და არამზიდი ელემენტები აკმაყოფილებს კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე მოთხოვნილ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხს. სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის B კლასს (ცხრილი 1505.1ა) სახურავის ხარისხი განსაზღვრულია 1507.4.3(1) ცხრილის შესაბამისად და აკმაყოფილებს ASTM A 755 ტიპს.

9.ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული 508 ქვეთავის შესაბამისად. სხვადასხვა დაკავებულობებისთვის მოთხოვნილი ცეცხლმედეგი გამმიჯნავები სწორად არის გამოყენებული -2,70 და 9,90 სართულის გეგმებზე 508.4 ცხრილის შესაბამისად.

სარეკონსტრუქციო პროექტში წარმოდგენილია რამოდენიმე შერეული დაკავებულობა : -2,70 ნიშნულზე **საქმიანი ჯგუფის (უნივერსიტეტის აუდიტორიები) და თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი თვ-2 (კაფეტერია და სამზარეულო)** გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლსმედეგი კედლით და იგივე ხარისხის ცეცხლმედეგი თარაზული ანაწყობით რაც შეესაბამება 508,4 ცხრილს

9,90 ნიშნულზე **საქმიანი ჯგუფი (ბიბლიოთეკა) და თავშეყრის ჯგ ქვეჯგუფი თვ-3 (საკონფერენციო დარბაზი)** ასევე გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი კედლით და იგივე ხარისხის ცეცხლმედეგი თარაზული ანაწყობით 508,4 ცხრილის შესაბამისად

10.ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

სარეკონსტრუქციო პრექტში კოდექსის მიხედვით სწორად არის განსაზღვრული ცეცხლისგან დამცავი აქტიური სისტემები. კერძოდ:

- **ავტოსაშხეფი სისტემა**
- **სახანძრო მილდგარების სისტემა**
- **კვამლის საკონტროლო სისტემა**
- **ხელის ცეცხლმაქრები**
- **სახანძრო განგაშის სისტემა**

ავტოსაშხეფი სისტემა არის დაყენებული თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფებში თვ-2, თვ-3; -2,70 ; 9,90 ნიშნულზე, ატრიუმში და დერეფნებში.

ატრიუმში 907,2,14 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად არის დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემა, სახანძრო განგაშის და კვამლის საკონტროლო სისტემა.

პროექტის მიხედვით ატრიუმის სივრცე მომიჯნავე სივრცეებისგან გამიჯნულია შუშის კედლით. რომელიც ასრულებს კვალგაუმტარი და ცეცხლმედეგი ზღუდის ფუნქციას.(ცეცხლმედეგობის ხარისხი) აღნიშნული შუშის კედელთან საშხეფი სისტემის ელემენტები განთავსებულია 30 სმ მანძილის დაშორებით.

დერეფნებში ავტოსაშხეფი სისტემების განთავსება არ არის საჭირო ვინაიდან ცეცხლმედეგი კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება 706,4 ცხრილის მოთხოვნებს.(1 საათიანი ცეცხლმედგობის)

პროექტში არის გათვალისწინებული III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემა მთელ შენობაში რომელიც შეესაბამება სახანძრო მილდგარებისადმი მოთხოვნების 905,3,1-ის ქვეთავს.

მე -9 თავის 907-ქვეთავის შესაბამისად განსაზღვრულია ხელით გასააქტიარებული სახანძრო განგაშის სისტემები, ხმოვანი და მხედველობითი მექანიზმები.
ასევე 906 ქვეთავში აღნიშნულ დაკავებულობებში(თვ,სწ-1,სქ) დაყენებულია ხელის ცეცხლმაქრები

11.წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ტიპების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს (ცხრილი 1602.1) ტუალეტები განთავსებულია ყველა სართულზე და შესაბამისად აკმაყოფილებს ტუალეტამდე სავალი მანძილის მოთხოვნებს

5. დასკვნა

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ.თბილისში, უნივერსიტეტის შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები", ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმნტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა საჭირო ინფორმაციას. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: ვილიანა გულიაშვილი ხელმოწერა:

თარიღი : 21.04.2017

GEORGIA

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

HIGHER EDUCATION

DIPLOMA

UA № 000003

By the decision N 20 December 12, / 2005 . /

of the faculty of Architecture

Ms. Viliana Guliashvili

was awarded the qualification of Architect

in

Architecture

with 5 year educational program.

რეგისტრაციის № Registration № 00003

თბილისი Tbilisi

11 რიცხვი/day 5 თვე/month 2012 წელი/year

საქართველო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი განათლების

დიპლომი

UA № 000003

არქიტექტურის

ფაკულტეტის 2005 წლის 12.12 № 20

გადაწყვეტილებით ვილიანა გულიაშვილს

მიენიჭა არქიტექტორის

კვალიფიკაცია არქიტექტურის

სპეციალობით.

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა: 5 წელი

დეკანი თ. ჭანტურია /

Dean T. Tchanturia /

რექტორი /

Rector / Archil Prangishvili /

ბ.ა. Seal

შ.პ.ს. "გოდაკო+"
საიდენტიფიკაციო კოდი; 202269035
იურიდიული მისამართი; საქართველო,
თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთი, ი.ევდოშვილის 2/10

ტელ; 592 90 30 22 ელ.ფოსტა godaco@mail.ru

58/2017

ცნობა

ეძლევა მოქალაქე ვილიანა გულიაშვილს (პირადი N01027020578) მასზედ, რომ ის 2007 -2012 წლებში მუშაობდა შპს "გოდაკო+" ს/კ 202269035 არქიტექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა დანიშნულების ადგილზე წარსადგენად

დირექტორი: გიორგი კვიწინაშვილი